

ტექნიკური დავალება

550 kVA დიზელ-გენერატორის მიწოდება, მონტაჟი და ექსპლუატაციაში ჩაყენება უწყვეტი რეჟიმისათვის (Prime Power Operation)

მაღალი საიმედოობის დიზელ-გენერატორის შესყიდვა და მონტაჟი, რომელიც განკუთვნილია მუდმივი (24/7) მუშაობისთვის, უზრუნველყოფს სტაბილურ ძაბვასა და სიხშირეს ყველა დატვირთვის პირობებში, აკმაყოფილებს საერთაშორისო ხარისხის, უსაფრთხოების და ეკოლოგიურ სტანდარტებს.

ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები:

ნომინალური სიმძლავრე	≥ 550 kVA (440 kW) @ 0.8 PF, 400/230 V, 50 Hz, 3 ფაზა
სამუშაო რეჟიმი	PRIME POWER (PRP) — 24/7 მუშაობა, მინ. 10 % გადატვირთვის შესაძლებლობა ერთ საათამდე ყოველ 12 საათში
მუშა სიჩქარე	1500 rpm, ელექტრონული governor-ით
სიხშირის სტაბილურობა	±0.20 % steady-state, დატვირთულ და დაუტვირთავ რეჟიმში
ძრავის ტიპი	ოთხტაქტიანი, მრავალცილინდრიანი, ტურბო დამტენით, წყლის გაგრილებით, ISO 3046 სტანდარტის შესაბამისად
კორპუსი	სრულად დახურული „silent type“ აკუსტიკური კორპუსით, ხმაურის დონე ≤ 75 dB(A) 7 მეტრში, ISO 3744 სტანდარტის შესაბამისად
ძრავის ემისიის დონე	მინიმუმ Euro 3 ან ექვივალენტი (EU Stage IIIA / EPA Tier 3), ქარხნული სერტიფიკატით და ტესტირების ანგარიშით
წარმოების სერტიფიკაცია	ISO 9001:2015, ISO 14001:2015; CE და EMC დეკლარაციები; ქარხნული ტესტირების ანგარიშები ISO 8528 და

ალტერნატორი	ISO 3046 სტანდარტებით თვითაღმგზნებით, brushless ტიპის, AVR-ით; კლასი H; IP23+; ეფექტურობა $\geq 92\%$; THD $\leq 5\%$; ISO 8528-3 შესაბამისობა
გაგრილება	დახურული წყლის სისტემა ინდუსტრიული რადიატორით, ავტომატური თერმოსტატით
საწვავი	დიზელი, მოხმარება ≤ 125 ლ/სთ 100 % დატვირთვაზე
საწვავის ავზი	მინ. 8 საათის უწყვეტი მუშაობისთვის გათვლილი, ორკედლიანი ავზი გაჟონვის საწინააღმდეგო მონწყობილობით
მართვის პანელი	მიკროპროცესორული კონტროლერი (AMF / DSE / ComAp ან ექვივალენტი), ავტომატური გაშვება/გაჩერება, დატვირთვის/პარამეტრების ჩვენება, დისტანციური მონიტორინგი Ethernet, RS-485, SIM (GSM/4G), სინქრონიზაციის შესაძლებლობა
ხმაურის დონე	≤ 75 dB(A) 7 მეტრში
დაცვის დონე	მინიმუმ IP54
სამუშაო პირობები	ტემპერატურა -15°C დან $+45^{\circ}\text{C}$ -მდე; ტენიანობა $\leq 95\%$; სიმაღლე ≤ 1000 მ ზღვის დონიდან

ქარხნული ტესტირების მოთხოვნები:

სავალდებულოა ძრავის, ალტერნატორის და მთლიანი გენერატორის ქარხნული ტესტირების ოფიციალური ანგარიშების წარმოდგენა, სადაც მითითებული იქნება სიხშირის სტაბილურობა ($\pm 0.2\%$), ძაბვის რეგულაცია, ეფექტურობა, ემისიის მაჩვენებლები და ტესტის პირობები.

ხარისხისა და შესაბამისობის მოთხოვნები:

გენერატორის და მისი ძირითადი კომპონენტების მწარმოებლები უნდა ფლობდნენ შემდეგ სერთიფიკატებს:

- ISO 9001:2015 – ხარისხის მართვის სისტემა (მხოლოდ წარმოების ქარხნისთვის);
- ISO 14001:2015 – გარემოსდაცვითი მართვის სისტემა;
- ISO 8528-1, 8528-3, 8528-5 – დიზელ-გენერატორის შესრულების, სტაბილურობისა და ტესტირების სტანდარტები;
- ISO 3046 – ძრავის ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი;

- CE და EMC შესაბამისობის დეკლარაციები – მთლიანი genset-ის უსაფრთხოებისა და ელექტრომაგნიტური თავსებადობის დასადასტურებლად.

მონტაჟი და ტესტირება ობიექტზე

გენერატორის მიწოდება, საძირკველზე დაყენება, გამონაბოლქვისა და საწვავის სისტემის მონტაჟი, ელექტრული შეერთება ძირითადი განაწილებისთან (ATS ან ხელით გადამრთველით), დატვირთვით ტესტირება ექსპლუატაციაში მიღების აქტით.

გარანტია და სერვისი

გარანტია: მინ. 36 თვე ან 3000 სთ; სერვისის შესაძლებლობა ≤ 48 საათში;
სათადარიგო ნაწილების მოწოდების შესაძლებლობა ≥ 10 წელის განმავლობაში.

პირობები

გენერატორი ჩაითვლება დაუშვებლად, თუ ძირითადი კომპონენტები არ ფლობენ ISO 9001 და ISO 14001 სერტიფიკატებს ან CE შესაბამისობის დეკლარაციას. ქარხნული ტესტირების ანგარიშები უნდა შეესაბამებოდეს ISO 8528 ან ISO 3046 სტანდარტებს. ემისია უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ Euro 3 დონეს. სიხშირის სტაბილურობა არ უნდა აღემატებოდეს $\pm 0.2\%$.